ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4896570

ნომერი: AR1725385

თარიღი : 19.12.2019

გაცემის თარიღი : 12.03.2020

გაცნობის თარიღი : 12.03.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მტკვრის მარჯვენა სანაპირო , ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორია(ნაკვ.5/35);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან დევდარიანი პ/ნ 42001003777
- ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.#14, ბინა #41

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2019 წლის 19 დეკემბრის თქვენს მიერ ელექტრონულად წარმოდგენილი №AR1725385 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორია (ნაკვ.5/35), შპს „სპეროზა“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე თხევადი აირის სტაციონარის, როგორც დროებითი დანადგარის განთავსებაზე თანხმობას. ამასთან, აღნიშნულს ითხოვთ I კლასს დაქვემდებარებული შენობა–ნაგებობების მშენებლობა/განთავსებისთვის დადგენილი წესით, მხოლოდ ადგილმდებარეობის მითითებისა და ცისტერნის განთავსების ფოტო– მონტაჟის წარმოდგენის საფუძველზე.
გაცნობებთ რომ „გაზსავსები პუნქტი“, ანალოგიურად გაზგასამართი სადგურისა, განეკუთვნება IV კლასს დაქვემდებარებულ შენობა–ნაგებობებს და იგი საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გაცემას სამივე სტადიით, რომელთაგანაც I სტადიაზე, როგორც სხვა ადმინისტრაციული ორგანო, ჩართული უნდა იქნას სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.
ასევე საპროექტო ობიექტი ფუნქციური ზონირების მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)-ში, რომელიც წარმოადგენს
მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-
საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში
(როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე)
ტერიტორიებს;
დასაშვებია ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები.
ავტოგასამართი სადგური ავტოგასამართი კომპლექსი, აირგასამართი სადგური ან აირსავსები
საკომპრესორო სადგურის განთავსება ამ ზონაში არ არის დაშვებული საგამონაკლისო ზონალური შეთანხმებით, რისთვისაც პირველ რიგში უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, ხოლო დადებითი პასუხის შემდგომ მომართოთ არქიტექტურის სამსახურს, .

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით თქვენი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.